რეალპოლიტიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საფუძველი

გრიგოლ ონიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

grigoloniani@gmail.com

ORCID iD: https://orcid.org/0009-0003-2530-895X

DOI: 10.52340/splogos.2026.01.29

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება რეალპოლიტიკის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საფუძვლის, ისტორიული განვითარებისა და და თეორიული საფუძვლების ანალიზს. ნაშრომში განიხილება რეალპოლიტიკის წარმოშობა ანტიკური ხანიდან (თუკიდიდე, სუნ ძი) დაწყებული, ყურადღება გამახვილებულია რენესანსის (მაკიაველი), აბსოლუტიზმის (რიშელიე), XIX საუკუნის (ბისმარკი) და XX საუკუნის (მორგენთაუ, კისინჯერი, ბჟეზინსკი, არონი) მნიშვნელოვან ფიგურებზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გეოპოლიტიკური ფაქტორებისა და გეოგრაფიული დეტერმინიზმის ურთიერთმიმართებას რეალპოლიტიკასთან. ნაშრომის ცენტრალური თეზისია, რომ რეალპოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ძალთა ბალანსის პრაგმატულ გათვლას და ეროვნულ ინტერესებს, იდეოლოგიურ და მორალურ მოსაზრებებს უპირისპირდება და სახელმწიფოების წარმატების საუკეთესო ინსტრუმენტია.

საკვანძო სიტყვები: რეალპოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია, სტალინი, ძალთა ბალანსი

Realpolitik as the basis of international relations and diplomacy

Grigol Oniani,

PhD Student of International Relations,

Georgian Technical University

grigoloniani@gmail.com

ORCID iD: *https://orcid.org/0009-0003-2530-895X*

Abstract

The article is devoted to the analysis of the historical development and theoretical foundations of realpolitik as the basis of international relations and diplomacy. The paper discusses the origins of realpolitik from antiquity (Thucydides, Sun Tzu), focusing on important figures of the Renaissance (Machiavelli), absolutism (Richelieu), the 19th century (Bismarck) and the 20th century (Morgenthau, Kissinger, Brzezinski, Aron). Special attention is paid to the relationship between geopolitical factors and geographical determinism with realpolitik. The central thesis of the paper is that realpolitik, which is based on a pragmatic calculation of the balance of power and national interests, opposes ideological and moral considerations and is the best tool for the success of states.

Keywords: realpolitik, international relations, diplomacy, Stalin, balance of power

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს რეალპოლიტიკის ისტორიული ფესვები, თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში.

მეცნიერული სიახლე

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- რეალპოლიტიკისა და გეოპოლიტიკური დეტერმინიზმის (რატცელი, სპიკმენი, მაკინდერი, კაპლანი) ღრმა ინტეგრაციაში და მათი ურთიერთგავლენის დემონსტრირებაში.

- იოსებ სტალინის მოღვაწეობის ინტერპრეტაციაში, როგორც რელაპოლიტიკისა და გეოპოლიტიკის წარმატებული სინთეზის კლასიკური მაგალითის - რაც ქართულ/პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაკლებად განხილული ან არაორდინალური კუთხით წარმოდგენილი თემაა.[339]

რეალპოლიტიკა ახალი ტერმინია და პირველად მის გამოყენებას საფუძველი ჩაუყარა 1853 წელს გერმანელმა ჟურნალისტმა და პოლიტიკოსმა ლ. როჩაუმ, თავის ნაშრომში „გერმანიის სახელმწიფო მოწყობაში რეალური პოლიტიკის გამოყენების საფუძვლები“. მოკლედ რომ ვთქვათ, რეალპოლიტიკა ეს არის პრაგმატიზმი პოლიტიკაში, რომელიც ემყარება არსებული პოლიტიკური ვითარების და ძალთა ფაქტორების სწორ გათვლას და მოქმედებას. ამასთან გამორიცხავს იდეოლოგიურ ცნებებს, რელიგიურ, ეთიკურ ან მორალურ მოსაზრებებს და საფუძვლებს. თვით ტერმინის ფართო გამოყენება პოლიტიკურ წრეებში და მეცნიერებაში მას შემდეგ მოხდა, რაც გამოქვეყნდა 1939 წელს ბრიტანელი ისტორიკოსის ე. ჰალეტ კარის წიგნი „კრიზისის ოცი წელი: 1919-1939“, რომელიც მხარს უჭერდა რეალპოლიტიკას, თუმცა ამავდროულად თვლიდა, რომ რეალიზმს მორალური განზომილება აკლია, რადგან მასში წარმატებული ქმედება „სწორად“, ხოლო წარუმატებელი - „არასწორად“ მიიჩნევა.[340]

ტერმინ რეალპოლიტიკას იყენებენ აგრეთვე ზოგიერთი პოლიტიკოსების გასაკრიტიკებლადაც, რომლებიც ატარებენ იძულებით, ამორალურ ან მაკიაველურ

[339] კლასიკური მიდგომები XVI-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში, კსუ სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2013.

[340] Carr E. H. The Twenty Years' Crisis: 1919-1939. An Introduction to the Study of International Relations. London: Macmillan, 1939.

პოლიტიკას. თუმცა, ჩემი აზრით, ნ. მაკიაველი არის რეალპოლიტიკის თეორიული ასპექტების ერთ-ერთი შემქმნელი, მის წინამორბედ სწავლებებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ რეალპოლიტიკა იმთავითვე ასოცირდებოდა გერმანიის გამაერთიანებელ კანცლერ ბისმარკის პოლიტიკასთან, რომელმაც რეალპოლიტიკა გამოიყენა გერმანიის გაერთიანებისთვის პრუსიის დომინაციით.

რეალიზმი პოლიტიკაში, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ანტიკური ხანიდან მოდის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი ბერძენი ისტორიკოსი ფუკიდიდე, რომლის ნაშრომში „ისტორია“ აღწერილია პელოპონესის ომები, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წინამორბედად ითვლება. მან პირველმა გააანალიზა ომის მიზეზებისა და საბაბის საკითხები. მისთვის ისტორია უპირველეს ყოვლისა საგარეო პოლიტიკა და ომია. ის აღნიშნავდა „ძალის ფაქტორს“ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. მისი აზრით ომი სახელმწიფოს ნორმალური მდგომარეობაა, რადგან თვითონ ადამიანის არსშია ჩადებული მისწრაფება რაც შეიძლება მეტი ქონების ხელში ჩაგდებისა, ხოლო მშვიდობა არამდგრადი მდგომარეობაა, რადგან როგორც კი გაძლიერდება სახელმწიფო, მშვიდობა ირღვევა ადამიანის ბუნების ძალით, რომელიც მიისწრაფის უპირატესობისაკენ. მისი დასკვნით სამყაროში მეფობს უხეში ძალა და შესაბამისად ომი და სამართლიანობა შეუთავსებელია.

უნდა ითქვას, რომ რეალპოლიტიკის საწყისები მრავლად არის სხვა ძველი ბერძენი მოაზროვნეების ნაშრომებშიც. მაგალითად, ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425) „ისტორიები“ შეიცავს ისტორიულ, პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ, გეოგრაფიულ მასალებს, რომელშიც იკვლევს ბერძენ-სპარსეთის ომების მიზეზებს და სხვა.

რეალპოლიტიკის ელემენტები ჩანს ძველი ჩინელი ფილოსოფოსებისა და სწავლულების შრომებშიც. ძველმა ჩინელმა მხედართმთავარმა სუნ ძიმ (ძვ.წ. 544-496) თავის ნაშრომში „სუნ ძი სამხედრო ხელოვნების შესახებ“, რომელიც შემდგომში განავითარა ჩინელმა მხედართმთავარმა უ ძიმ (ძვ.წ. 440-381) თავის ნაშრომში „ტრაქტატი სამხედრო ხელოვნებაზე“ ჩანს მომავალი რეალპოლიტიკის ასპექტები.

ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ინდოეთის დიდი პოლიტიკური მოღვაწის და ფილოსოფოსის კაუტილიას შეხედულებებში „არტაშასტრა“ („სახელმწიფოს მართვის მეცნიერება“) მოცემულია თანამედროვე რეალპოლიტიკის და გეოპოლიტიკის საფუძვლები. აქ ევროპელებზე 2000 წლით ადრე გაანალიზებულია სტრატეგიული საკითხები. მისი იდეები საფუძველი გახდა ევროპული პოლიტიკური და სტრატეგიული აზროვნებისა, მათ შორის ძალთა ბალანსისა.

გეოპოლიტიკისა და რეალპოლიტიკის ასპექტები გვხვდება არაბი ფილოსოფოსების აბუ ნასრ იბნ მუჰამად ალ-ფარაბის (870-950), რომელიც არაბული კულტურის არეალში პოლიტიკური აზროვნების ფუძემდებლად ითვლება და იბნ-ხალდუნის (1332-1406) შრომებშიც.

აღორძინების ეპოქაში ფლორენციელი ფილოსოფოსის, მწერლისა და დიპლომატის ნ. მაკიაველის შრომებში, რომელსაც მოღვაწეობა მოუწია მეტად მცირე ქალაქ-ქვეყნებად დაქუცმაცებულ იტალიის პერიოდში, როცა ევროპაში უკვე იყო საფრანგეთის, ინგლისის, შვეციის, ესპანეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოები. ის იყო პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი წარმომადგენელი. იყო თავის ქვეყნის დიდი პატრიოტი და მისი გამონათქვამია: „როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმის შესახებ, სამართლიანია ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, მომგებიანია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი; ანგარიში არ უნდა გაუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მიიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობის და თავისუფლების შენარჩუნებას“. მისი უმთავრესი ნაშრომია „მთავარი“, სადაც გატარებულია აზრი, რომ სახელმწიფოს განმტკიცებისთვის დასაშვებია ყველა საშუალება: მკვლელობა, ძალადობა, სიცრუე... ანუ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად თუ საჭიროა, მისაღებია რელიგიური და მორალური ნორმების უგულებელყოფა (მიზანი ამართლებს საშუალებას). ავტორის აზრით ქვეყნის მეთაური - მთავარი უნდა იყოს შეუპოვარი და მტკიცე, ამავე დროს საჭირო დროს და ადგილას დიპლომატიასაც უნდა მიმართოს, რადგან ყოველთვის გამოჩნდება მოწინააღმდეგე, რომელიც შენზე ძლიერი იქნება. მაგრამ მის ნაშრომში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნ. მაკიაველი მმართველს აყენებს ხალხის და

ქვეყნის სამსახურში და არა თავის და რეჟიმის. ამ ნაშრომს ბევრი მკითხველი ჰყავდა და ჰყავს, მათ შორის ნაპოლეონ ბონაპარტე და ი. სტალინი.[341]

რეალპოლიტიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი იყო საფრანგეთის მთავარი მინისტრი კარდინალი რიშელიე (1585-1642). ის შიდა პოლიტიკაში იღვწოდა სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვის შექმნისთვის, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ეფუძნებოდა ძალთა ბალანსს, რითაც პრაქტიკულად ახორციელებდა ნ. მაკიაველის სახელმწიფოს მართვის თეორიას. მის შექმნილ მართვის სისტემაში ქვაკუთხედი გახდა ნაციონალური ინტერესები, მანამდე არსებული მმართველობის პიროვნული, დინასტიური ან რელიგიური ინტერესების ნაცვლად. შესაბამისად, რადიკალურად შეიცვალა საერთაშორისო წესრიგის იდეის განხორციელებისადმი მიდგომა, ანუ შესაბამისად, გახდა ძალთა ბალანსის შემადგენელი ერთეული.

მან სწორად შეაფასა საფრანგეთისთვის მომდინარე საფრთხეები, რომლებიც ოსტატურად იყო შენიღბული რელიგიური ან სხვადასხვა ტიპის ინტერესებით. მან გააცნობიერა, რომ დინასტიური ამბიციები და დაქუცმაცებულობა ქვეყნის სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს. თავის პოლიტიკას იგი ამართლებდა ცნობილი გამონათქვამით: „ადამიანი უკვდავია და მისი ხსნა - მომავალში, სახელმწიფოს კი უკვდავება არ გააჩნია, იგი უნდა გადარჩეს ახლა, ან - არასოდეს“. სწორედ ამ „რეალპოლიტიკის“ გზით მან საფრანგეთი ევროპის დომინანტ და ლიდერ სახელმწიფოდ აქცია.

პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ინგლისელი ფილოსოფოსი თ. ჰობსი (1588–1679), რომლის ნაშრომი „ლევიათანი“ პოლიტიკური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს ტექსტად მიიჩნევა. ჰობსი ადამიანთა ბუნებრივ მდგომარეობას ახასიათებს, როგორც „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“ და სწორედ ამ ქაოსის დასაძლევად მიიჩნევს აუცილებლად სახელმწიფოს - „ლევიათანის“ შექმნას. მისი თეზისის თანახმად, ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურის

[341] Machiavelli N. Il Principe (The Prince). Rome: Antonio Blado d'Asola, 1532.

არარსებობის გამო, საერთაშორისო ურთიერთობები ანარქიული ხასიათისაა, ამიტომ თითოეული სახელმწიფო თავისი ინტერესების დასაცავად დამოუკიდებლად იბრძვის. შესაბამისად, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანი ხშირად აგრესიაში გადაიზრდება ხოლმე. თუმცა მას მიაჩნდა, რომ ომი დიდი ბოროტებაა, რომელსაც უნდა გაექცე.[342]

XIX საუკუნეში რეალპოლიტიკის დიდი წარმომადგენელია გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ო. ბისმარკი (1815-1898). მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაემთხვა ევროპაში ავსტრიის იმპერიის მთავრობის მეთაურის კ. მეტერნიხის (1773-1859) პოლიტიკური სისტემის აღმავლობას, რომელიც რეალპოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია (იდეალისტური მსოფლმხედველობა მას ხელს არ უშლიდა რეალპოლიტიკის განხორციელებაში). მისი სისტემა შედგებოდა - ევროპული ძალთა ბალანსისაგან, შიდაგერმანული (ავსტრიასა და პრუსიას შორის) წონასწორობისაგან კონსერვატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ალიანსების სისტემისაგან, რომელიც გამორიცხავდა ძალადობას. ბისმარკისთვის მიუღებელი იყო ვენის ასეთი მოწყობა, რადგან გერმანულ კონფედერაციაში (წარმოიშვა 1815 წელს) ავსტრია დომინირებდა და პრუსიას არავითარი შანსი არ რჩებოდა გერმანიის გაერთიანებისა, რაც მისი უმთავრესი მიზანი იყო. ავსტრიასა და პრუსიას შორის დაპირისპირება 1866 წელს გადაიზარდა ომში, რომელიც დამთავრდა პრუსიის გამარჯვებით, შედეგად გერმანული კონფედერაცია დაიშალა. ამ ომში ბისმარკმა გამოიყენა რეალპოლიტიკის პრინციპები, როცა პრუსიამ კავშირი დაამყარა რევოლუციურ იტალიასთან, მომმე კონსერვატიულ ავსტრიის და მისი მოკავშირე გერმანული ქვეყნების წინააღმდეგ. მან კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება - 1871 წელს საფრანგეთის დამარცხება რუსეთთან და დაიპყრო ელზასი და ლოთარინგია, ამასთან მოხერხებული პოლიტიკით ცდილობდა არ დაეშვა ანტიგერმანული ბლოკის შექმნა და საფრანგეთის ძლიერების აღორძინება, რის გამოც მხარი დაუჭირა 1873 წელს რუსეთ-ავსტრია-გერმანიის კავშირის შექმნას

[342] Hobbes T. Leviathan or The Matter, Forme and Power of a Commonwealth Ecclesiasticall and Civil. London: Andrew Crooke, 1651.

(„სამი იმპერატორის კავშირი“); ხოლო 1882 წელს იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი სამთა კავშირისა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია), რომელიც მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ, რითაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის გახლეჩვას ორ მტრულ კოალიციად.[343]

კანცლერმა მოახდინა საფრანგეთის დიპლომატიური იზოლაცია. კავშირების რთული სისტემის გამოყენებით, მან შეძლო ერთმანეთთან დაეახლოებინა გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, ამავდროულად, რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნებით კი - ევროპაში მშვიდობა დაეცვა და გერმანიის იმპერია კონტინენტის ერთ-ერთ ლიდერად ექცია. ბისმარკისთვის საშინაო პოლიტიკაში კონსერვატიული კურსი, ხოლო საგარეო ასპარეზზე მოქნილი გადაწყვეტილებების მიღება, გერმანიის გაძლიერებისა და სტაბილურობის საუკეთესო ფორმულას წარმოადგენდა“.

რეალპოლიტიკა განსხვავდება ყველა პოლიტიკური იდეოლოგიისაგან იმით, რომ ის არ იმართება დოგმატურად, დოქტრინალურად, რაიმე ერთი უცვლელი წესით, ის მიზანზე და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. ამასთან ძირითადად ლიმიტირებულია და მხოლოდ არსებული პრობლემების გადასაწყვეტად არის მიმართული. შესაბამისად, ის ხშირად კომპრომისულია რელიგიურ, იდეოლოგიურ და ეთნიკურ პრინციპებთან. მაგალითად, შეერთებულ შტატებში კომპრომისით ამართლებენ საკუთარ მოქმედებას, როცა მხარს უჭერენ ავტორიტარულ რეჟიმებს (რომლებიც იმთავითვე გამორიცხავს ადამიანის უფლებების დაცვას), რეგიონში სტაბილურობის გამყარებისთვის, რაც მათი აზრით დიდ ნაციონალურ ინტერესებს პასუხობს. ასეთი კომპრომისები გაახშირეს ცივი ომის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკული რეალპოლიტიკა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ზბ. ბჟეზინსკის (1928–2017) იდეებმა განსაზღვრა. მისი მიდგომა მკვეთრად

[343] საერთაშორისო ურთიერთობები XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისის რევოლუციურ აზროვნებაში, კსუ სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2016.

უპირისპირდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მაკარტიზმსა და ჯ. დალესის ხისტ, ანტიკომუნისტურ დიპლომატიას. ბჟეზინსკი სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში დიპლომატიურ მოქნილობასა და დიალოგს უჭერდა მხარს. იმავდროულად, მისი თანამედროვე ჰ. კისინჯერი (1923–2023) პოლიტიკურ პრობლემებს ეთიკური ან იდეოლოგიური დოქტრინების ნაცვლად, პრაქტიკული და პრაგმატული კუთხით უდგებოდა. ამ პოლიტიკის ნათელი მაგალითია რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში (როდესაც კისინჯერი სახელმწიფო მდივანი იყო), ჩინეთთან დიპლომატიური კავშირების დამყარება; ეს ნაბიჯი ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების ანტიკომუნისტურ განწყობებსა და მაშინდელი „შეკავების პოლიტიკის“ კანონზომიერებებს.

მისი რეალპოლიტიკის მაგალითია 1973 წლის ისრაელ-არაბული ომის შემდეგ გაწეული ძალისხმევა: მან ისრაელი აიძულა, დაეთმო სინას ნახევარკუნძული, რითაც ცდილობდა ნავთობის კრიზისით გამოწვეული, აშშ-ისთვის საზიანო გეოპოლიტიკური პროცესების შეჩერებას. მისი პრაგმატიზმი ზოგჯერ ცინიზმის ზღვარს აღწევდა; მაგალითად, საბჭოთა ებრაელების ემიგრაციის საკითხზე მან განაცხადა: „საბჭოთა კავშირიდან ებრაელების ემიგრაცია არ არის ამერიკული პოლიტიკის ამოცანა. თუ მათ საბჭოთა კავშირში გაზის კამერებში გაგზავნიან, ეს არ იქნება ამერიკის საგარეო პოლიტიკური პრობლემა; ეს ჰუმანიტარული საკითხია და არა პოლიტიკური“. თავად კისინჯერს ტერმინი „რეალპოლიტიკა“ არასოდეს გამოუყენებია; მისი აზრით, სახელმწიფო მოღვაწის მოვალეობა იყო „ძალთა რეალური ურთიერთობების ამოცნობა და მათი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება“. ამასთან, იგი მოქმედებდა არასტანდარტული, ხშირად მოულოდნელი მეთოდებით, რათა თავიდან აეცილებინა პოლიტიკის ფორმალისტური მიდგომით გაცვეთა.

აშშ-ში პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ფუძემდებლად ჰ. მორგენთაუ (1904–1980) ითვლება. მისი კონცეფციის თანახმად, საერთაშორისო პოლიტიკა არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის, რაც გულისხმობს სახელმწიფოების მისწრაფებას საკუთარი ძალის გაზრდისა და გავლენის განმტკიცებისკენ. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ერთა შორის პოლიტიკური ურთიერთობები: ბრძოლა ხელისუფლებისა

და მშვიდობისათვის“, მორგენთაუ აყალიბებს პოლიტიკური რეალიზმის მთავარ თეზისს: „საგარეო პოლიტიკის მიზნები უნდა განისაზღვროს ნაციონალური ინტერესებით და გამყარებული იყოს შესაბამისი ძალით“. ამავე ნაშრომში დეტალურად არის გაშლილი პოლიტიკური რეალიზმის ექვსი ფუნდამენტური პრინციპი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა და ბირთვული ეპოქის დადგომამ საფუძვლიანად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების რეალობა, რამაც აუცილებელი გახადა საგარეო პოლიტიკის ტრადიციული ხედვების გადასინჯვა. ამ კონტექსტში, მორგენთაუმ შეიმუშავა ბირთვული სახელმწიფოების ქცევის ანალიზის ახალი ფორმულა და ჩამოაყალიბა მათი სტრატეგიის ოთხი პარადოქსალური პრინციპი.[344]

საერთოდ აშშ-ში პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ფუძემდებლად ჰ. მორგენთაუ ითვლება, რომლის აზრითაც საერთაშორისო პოლიტიკა არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის. რომელშიც ის გულისხმობს სახელმწიფოების ბრძოლას, თავისი ძალის აღმატებულების და მსოფლიოში გავლენის მოპოვების განმტკიცებისთვის. თავის ნაშრომში „ერთა შორის პოლიტიკური ურთიერთობები. ბრძოლა ხელისუფლებისა და მშვიდობისათვის“, პოლიტიკური რეალიზმის მთავარი თეზისი: „საგარეო პოლიტიკის მიზანი უნდა განისაზღვროს ნაციონალური ინტერესებიდან და მხარდაჭერილი იქნეს შესაბამისი ძალით“. ასევე, პოლიტიკური რეალიზმის სკოლის მნიშვნელოვანი იდეები, რომელშიც ფორმულირებულია ცნობილი ექვსი პრინციპი. გამომდინარე იქიდან, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა ისრაელის საფრთხე, მოხდა საგარეო პოლიტიკაში ადრინდელი წარმოდგენების გადასინჯვა, რადგან შეიქმნა პრინციპულად ახალი რეალობა. შესაბამისად ჰ. მორგენთაუმ ჩამოაყალიბა ახალი ფორმულა ბირთვული სახელმწიფოების ოთხი პარადოქსალური სტრატეგიის შესახებ.

[344] Morgenthau H. J. Politics Among Nations: The Struggle for power and Peace. New York: Alfred A. Knopf, 1948.

ამ სტრატეგიების ანალიზის საფუძველზე ჰ. მორგენთაუმ ასეთი დასკვნა გააკეთა: „ნებისმიერი პოლიტიკა, მიუხედავად მისი შორსმჭვრეტელობისა და გამჭრიახობისა, რომელიც ბირთვული ძალის შეკავებისკენ არის მიმართული, ვერაფრით შეცვლის იმ ფაქტს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება სცილდება სახელმწიფო პოლიტიკის ჩვეულებრივ მიზნებსა და მეთოდებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ მორგენთაუსთვის პოლიტიკური რეალიზმი სულაც არ ნიშნავს პოლიტიკური იდეალების სრულ უარყოფას. რეალპოლიტიკის პოზიცია მოითხოვს მკვეთრ გამიჯვნას სასურველსა და შესაძლებელს შორის, რათა კონკრეტულ ვითარებაში მოხდეს დასაშვები მოქმედებების სწორი შეფასება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგარეო პოლიტიკა რაციონალურობის პრინციპებზე უნდა აიგოს.

თუ შეერთებულ შტატებში რეალპოლიტიკა ხშირად ძალაუფლების უხეშ გამოყენებასთან ასოცირდება, ევროპულ პოლიტიკურ აზროვნებაში ის შედარებით ნეიტრალურ კონტექსტში განიხილება. დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია ფრანგი სოციოლოგი და პოლიტოლოგი რ. არონი (1905–1983), რომელსაც მორგენთაუს არაერთი ფუძემდებლური თეზისი კრიტიკულად აქვს გადააზრებული. ის საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი თეორეტიკოსია, რომლის შეხედულებებიც რეალპოლიტიკის ფარგლებს აფართოებს და მას მეტ სიღრმეს სძენს. არონის აზრით, სახელმწიფოთა ურთიერთობები არსებითად ომისა და მშვიდობის მონაცვლეობას წარმოადგენს; შესაბამისად, ნებისმიერმა სახელმწიფომ ურთიერთობებში მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა იქონიოს და მუდმივად იზრუნოს თავისი შესაძლებლობების გაძლიერებაზე. მისი თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი, მაიძულებელი ცენტრის არარსებობის პირობებში ძალისმიერი კონფლიქტები გარდაუვალია. ამასთან, ამერიკელი რეალპოლიტიკოსებისგან განსხვავებით, არონი საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მრავალ პროცესს სოციოლოგიური პერსპექტივიდან აანალიზებდა.

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გადამწყვეტია რეალპოლიტიკის პრინციპების თანხვედრა გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებთან. შესაბამისად, აუცილებელია პოლიტიკისა და რეალპოლიტიკის მოქმედების არეალის განსაზღვრა ადამიანის ნების ფარგლებში. საზოგადოების ისტორიულ განვითარებას გეოგრაფიული დეტერმინიზმი და ადამიანის ნება განსაზღვრავს; სწორედ ამ ორი ფაქტორის სინთეზმა ჩაუყარა საფუძველი გეოპოლიტიკას საუკუნის დასაწყისში და შექმნა მყარი ბაზისი პოლიტიკის, განსაკუთრებით კი რეალპოლიტიკის, წარმატებული განხორციელებისთვის.

გეოგრაფიული დეტერმინიზმი ისეთი მსოფლმხედველობრივი კონცეფციაა, რომელიც ხალხთა და ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას გეოგრაფიული ფაქტორებით ხსნის. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ადამიანი გარემოს განუყოფელი ნაწილია და მისი ბუნებისგან იზოლირებულად განხილვა შეუძლებელია. ფრანგი ისტორიკოსი ფ. ბროდელი (1902–1985) ისტორიული პროცესების ანალიზისას განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და მატერიალური კულტურის ფაქტორებზე. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო ფილიპ II-ის ეპოქაში“, ის ხაზს უსვამს, რომ გარემო პირობები ადამიანის მოქმედების შესაძლებლობებს მკაფიო საზღვრებს უწესებს. ამავე კონტექსტში, ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ნ. სპიკმენი (1893–1943) თავის ნაშრომში „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში: შეერთებული შტატები და ძალთა ბალანსი“ აღნიშნავს:

გეოგრაფია სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში ყველაზე ფუნდამენტური ფაქტორია, რადგან ის სტატიკური და უცვლელია“. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ბევრი მეცნიერი, მათ შორის პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის მამად წოდებული, გერმანელი გეოგრაფი და სოციოლოგი ფრ. რატცელი (1844–1904) გეოგრაფიული დეტერმინიზმის აბსოლუტურობას აღიარებდა; ამ მიდგომით, ისტორიულ პროცესებში ადამიანის ნებას ფაქტობრივად ადგილი აღარ რჩებოდა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გამოჩნდნენ მკვლევრები, რომლებიც

გეოგრაფიულ დეტერმინიზმს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ისტორიის განვითარებას მხოლოდ ადამიანის ნებას უკავშირებდნენ.[345]

ინგლისელი ფილოსოფოსისთვის იზ. ბერლინისთვის (1909–1997) პიროვნული მორალური პასუხისმგებლობა უზენაესია. თავის ნაშრომში „ისტორიული გარდაუვალობა“, ბერლინი ხაზს უსვამს, რომ ადამიანს არ აქვს უფლება საკუთარი ქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობა გარე ფაქტორებს, როგორიცაა გეოგრაფიული გარემო თუ კულტურული კონტექსტი, დააკისროს; ის ამტკიცებს, რომ ისტორიის მსვლელობაზე ადამიანური მოტივაცია გადამწყვეტ გავლენას ახდენს. XX საუკუნის ფრანგი სოციოლოგი რ. არონი თავის „ისტორიული ეთიკის“ კონცეფციაში, რომელიც „ალბათობის დეტერმინიზმის“ პრინციპს ეფუძნება, აღნიშნავს, რომ „ადამიანის არჩევანი ყოველთვის შეზღუდულია კონკრეტული ჩარჩოებით, მათ შორის, წარსული მემკვიდრეობით“. არონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანურ იდეებსა და აქტივობას, თუმცა პრობლემის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რა წილი უჭირავს საზოგადოებრივ განვითარებაში გეოგრაფიულ დეტერმინიზმს და რამდენად არის დამოკიდებული ეს პროცესი ადამიანის ნებაზე მრავალრიცხოვან ალბათობათა შორის ოპტიმალური არჩევანის გაკეთებისას. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია მოვლენათა კონკრეტული ანალიზი. მაგალითად, რეალპოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს ჩამოყალიბება, განპირობებული იყო არა მხოლოდ „დამფუძნებელი მამების“ სტრატეგიული იდეებით, არამედ მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით - ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის მოქცეული ვრცელი ტერიტორიის ფაქტორით.

„აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის ისტორიის თანამდევი გაუთავებელი ომების ფენომენს მკვლევრები ხშირად გეოგრაფიული დეტერმინიზმისა და ადამიანის ნების ურთიერთქმედებით ხსნიან. როგორც აღვნიშნე პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრები ანტიკური ხანის მოაზროვნეებიდან დაწყებული XX

[345] Spykman N. J. America's Strategy in World Politics: The United States and the Balance of Power. New York: Harcourt, Brace and Company, 1942.

საუკუნის ისეთი ფიგურებით დასრულებული, როგორებიც არიან ხ. ორტეგა-ი-გასეტი და ჰ. მორგენთაუ, ომს კაცობრიობის არსებობის ბუნებრივ მახასიათებლად მიიჩნევდნენ. ჰ. მორგენთაუ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ერთა შორის პოლიტიკა: ბრძოლა ხელისუფლებისა და მშვიდობისათვის“ განმარტავს, რომ პოლიტიკური რეალობა ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი ძალთა მოქმედების შედეგია. მისი აზრით, ადამიანის ბუნება თუ არსებითად შევხედავთ, მოტივირებულია შიშით, გამორჩენის სურვილით, პირადი მოგებითა და დიდებისადმი სწრაფვით, რაც გარდაუვალად მიგვიყვანს კონფლიქტამდე და ძალადობამდე. შესაბამისად, მორგენთაუ ასკვნის: „მსოფლიოს გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები ამ ძალების გათვალისწინებით და მათი შესაბამისად იმოქმედებენ და არა მათი უგულებელყოფით“.

საბოლოო ჯამში, გეოგრაფიული დეტერმინიზმის და ადამიანის ნების ურთიერთმიმართების ჭრილში, მრავალი გავლენიანი თეორეტიკოსი (მათ შორის რ. კაპლანი (1952), ჰ. მაკინდერი (1861–1947) და სხვები) უპირატესობას გეოგრაფიულ ფაქტორს ანიჭებს. რ. კაპლანის აზრით, გეოგრაფია ახორციელებს ერთგვარ „შურისძიებას“: ადამიანური ნებით შექმნილი პოლიტიკური კონსტრუქციები ვერ გაექცევიან ბუნებრივ-გეოგრაფიულ რეალობას და საბოლოოდ მაინც მის პირობებს ემორჩილებიან. ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ჰ. მაკინდერიც; თავის ნაშრომში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“ ის ამტკიცებს, რომ ადამიანის ნებისმიერი გმირული მცდელობა, საბოლოო ჯამში, მარცხდება გეოგრაფიულ იმპერატივთან, რადგან სწორედ გარემო განსაზღვრავს კულტურულ და პოლიტიკურ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე დასკვნა ნათელია: პოლიტიკური წარმატება მხოლოდ მაშინ არის მიღწევადი, თუ ადამიანის ნება ჰარმონიაშია ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან (რელიეფი, კლიმატი და ა.შ.); მათთან დაპირისპირება კი, როგორც წესი, კრახით სრულდება.[346]

[346] Mackinder H. J. Democratic Ideals and Reality: A Study in the Politics of Reconstruction. London: Constable & Co. / New York: Henry Holt and Company, 1919.

შესაბამისად, რეალპოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის, უპირველეს ყოვლისა, ჰარმონიაშია ბუნებრივ გარემოსთან, ხოლო მეორე მხრივ - ეფუძნება გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსის ზუსტ ანალიზს. ასეთი მიდგომა ავტომატურად გამორიცხავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში რელიგიური, ეთიკური თუ მორალური ბარიერების ზეგავლენას. აქედან გამომდინარე, შეიძლება უნივერსალური დასკვნის გაკეთება: პოლიტიკა მაშინ არის შედეგიანი, როდესაც რეალპოლიტიკის ინსტრუმენტები გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებთან სრულ თანხვედრაში ხორციელდება.

სწორედ ამით აიხსნება იმ გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეთა სიმცირე, რომელთა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობა კარდინალურად შეცვალა. რეალპოლიტიკის პრინციპების ეფექტიანად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენენ: კარდინალი რიშელიე, რომელმაც თავისი მმართველობით საფრანგეთი XVII საუკუნის ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, და გერმანიის პირველი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, რომელმაც რეალპოლიტიკის მეთოდებით შეძლო გერმანიის გაერთიანება. ამ მხრივ გამორჩეულია სსრკ-ს სახელმწიფო მეთაურის, იოსებ სტალინის (1879–1953) მოღვაწეობაც: მან რეალპოლიტიკისა და გეოპოლიტიკური კანონზომიერებების რაციონალური გათვლით მიაღწია ისეთ მასშტაბურ შედეგებს, რომლებმაც მსოფლიო წესრიგი შეცვალა. სტალინის ხელმძღვანელობით დამყარებულმა „სტალინურმა სოციალიზმმა“ მოიცვა დედამიწის ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილი; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს სისტემა გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩინეთში, მონღოლეთში, ჩრდილოეთ კორეასა და ჩრდილოეთ ვიეტნამში, რამაც სოციალისტურ იდეოლოგიას გლობალური მასშტაბი შესძინა.

ი. სტალინის, როგორც პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის ისტორიული მასშტაბი განპირობებული იყო არა მხოლოდ მისი ტაქტიკური ალღოთი, არამედ იდეოლოგიური ფაქტორებითაც. სტალინმა მარქსისტულ თეორიასა და უტოპიური სოციალიზმის იდეებზე დაყრდნობით შექმნა უნიკალური მოდელი, რომელიც „სტალინური სოციალიზმის“ სახელითაა ცნობილი. ამ მოდელის საფუძველზე

აიგო საბჭოთა კავშირი, როგორც კლასობრივი სტრუქტურებისგან თავისუფალი საზოგადოება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს სისტემა გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაზე, რამაც ჩამოაყალიბა ე.წ. სოციალისტური ბანაკი. კაცობრიობის ისტორიაში ეს იყო სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზების სრულიად ახალი ფორმაცია, რომლის კონტურები მანამდე მხოლოდ უტოპიური სოციალიზმის თეორეტიკოსთა ხედვებში მოიაზრებოდა. აღნიშნულმა სისტემამ რადიკალური დაპირისპირება გამოიწვია კაპიტალისტურ სამყაროსთან, ვინაიდან სოციალისტური ფორმაციის შემდგომი გაფართოება და გაძლიერება გლობალური მასშტაბით კაპიტალისტური სისტემის დომინაციის დასასრულს მოასწავებდა.

დასკვნის სახით შეიძლება შევაჯამოთ ის არგუმენტები, რომლებიც იოსებ სტალინს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწედ, პოლიტიკოსად, დიპლომატად და მხედართმთავრად წარმოაჩენს.

დასკვნა

რეალპოლიტიკა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ყველაზე ეფექტიან საფუძველს, რადგან იგი ემყარება ობიექტურ რეალობას - ძალთა ბალანსს, ეროვნულ ინტერესებსა და გეოგრაფიულ-პოლიტიკურ კანონზომიერებებს, და არა იდეოლოგიურ ილუზიებს ან მორალურ დოგმებს. ისტორიის მანძილზე სწორედ რეალპოლიტიკოსმა მოღვაწეებმა (რიშელიე, ბისმარკი, სტალინი და სხვ.) შეძლეს თავიანთი სახელმწიფოების გაძლიერება და ისტორიული მასშტაბის ცვლილებების განხორციელება. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც გეოპოლიტიკური კონკურენცია კვლავ მწვავდება, რეალპოლიტიკის პრინციპები კიდევ უფრო აქტუალურია. წარმატებული საგარეო პოლიტიკა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა იგი სრულ თანხვედრაშია ბუნებრივ-გეოგრაფიულ რეალობასთან და ეფუძნება ძალთა რეალურ გათვლას. სწორედ ამიტომ, რეალპოლიტიკა დღესაც რჩება ყველაზე

საიმედო სახელმძღვანელოდ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც სურთ გადარჩენა საერთაშორისო ანარქიის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კლასიკური მიდგომები XVI-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში, კსუ სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2013.
2. საერთაშორისო ურთიერთობები XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისის რევოლუციურ აზროვნებაში, კსუ სამეცნიერო ჟურნალი, თბილისი, 2016.
3. Carr E. H. The Twenty Years' Crisis: 1919-1939. An Introduction to the Study of International Relations. London: Macmillan, 1939.
4. Machiavelli N. Il Principe (The Prince). Rome: Antonio Blado d'Asola, 1532.
5. Hobbes T. Leviathan or The Matter, Forme and Power of a Commonwealth Ecclesiasticall and Civil. London: Andrew Crooke, 1651.
6. Morgenthau H. J. Politics Among Nations: The Struggle for power and Peace. New York: Alfred A. Knopf, 1948.
7. Spykman N. J. America's Strategy in World Politics: The United States and the Balance of Power. New York: Harcourt, Brace and Company, 1942.
8. Mackinder H. J. Democratic Ideals and Reality: A Study in the Politics of Reconstruction. London: Constable & Co. / New York: Henry Holt and Company, 1919.